ქალაქ ზუგდიდის
მუნიციპალიტეტის მერია

იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის ესკიზის
(არქიტექტურულ-მხატვრული პროექტის)

საკონკურსო დოკუმენტაცია

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2015** წლის **10** მარტის ბრძანება **№3** საფუძველზე

ქ. ზუგდიდი, 2015 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება----------3გვ.

2. ტექნიკური დავალება ----------5გვ.

3. დანართი №1----------9გვ.

4. ხელშეკრულების პროექტი----------11გვ.

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს ბიუსტის მოდელის (არქიტექტურულ-მხატვრული საპროექტო დოკუმენტაციის) შემუშავებაზე, მომსახურების საკონკურსო წესით სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია ქ. ზუგდიდში იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის საუკეთესო ესკიზური მოდელის (არქიტექტურულ-მხატვრული საპროექტო დოკუმენტაციის) გამოვლენა და შემდგომში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება.
3. <u>შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს: 25000 (ოცდახუთი</u> ათასი) ლარს;
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ს/კ 220416976);
   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება და პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
   შენიშვნა: დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მას თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები, წარმოდგენილი უნდა იყოს დედანის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები.
9. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (პირველ ეტაპზე მხოლოდ დიზაინის პროექტი ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 31 მარტს 13 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი ზ. გამსახურდიას გამზირი #45 ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
10. კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 31 მარტს 13 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი #45 ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა..
11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
    ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.
    ანგარიშსწორება მოხდება ერთ ეტაპად მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
    საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
12. კონკურსანტმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
    - განცხადება მონაწილეობის მიღების შესახებ;

- რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
  - კონკურსანტის (ფიზიკური ან იურიდიული) იურიდიული ფორმა და დასახელება;
  - საიდენტიფიკაციო კოდი/ნომერი;
  - კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
  - ხელმძღვანელის სახელი, გვარი;
  - კონკურსანტის ტელეფონის ნომერი (ტელ.ფაქსი. მობ.);
  - ელექტრონული მისამართი, E-mail:
  - ბანკის დასახელება
  - ბანკის კოდი
  - ანგარიშსწორების ანგარიში ;

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს გათვალისწინებით, თუ კონკურსანტი არის დღგ- ს გადამხდელი) ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო წინადადების ფასში სრულიად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- ინფორმაცია დღგ-ს გადამხდელად ან არგადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.
- ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში);

ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტაცია გაცემული უნდა იყოს „კონკურსის გამოცხადების“ ეტაპის დაწყების შემდეგ.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტის სახით.

13. საკონკურსო განაცხადს (პროექტს) უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკონკურსო პროექტი (ბიუსტის მოდელი), რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს, მაკეტის, ნახაზების, რამდენიმე რენდერის ან პერსპექტიული ჩანახატის ფორმით მასშტაბი -1:00 ÷ 1:10;
- განმარტებითი ბარათი, მასში ჩამოყალიბებული უნდა იყოს პროექტის კონცეფცია გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა;
- ბიუსტის ესკიზის პროექტი (სავარაუდო ზომები: თიხის ან პლასტელინის ქანდაკება 0,5მ და პოსტამენტი), რასაც თან უნდა დაერთოს ძეგლის განხორციელებისათვის საჭირო მასალის ანოტაცია;
- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს A3 ან A2-ის ზომის ორ პლანშეტზე. შესრულების მანერა თავისუფალია. ნახაზები უნდა ასახავდეს ქანდაკების ესკიზის კომპოზიციის ზომებს, ფერსა და ფაქტურას;
- სკულპტურის მაკეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ზომით 1:00;
- განშლები, ფოტომონტაჟი ან ჩანახატი;
- ტერიტორიის სიტუაციური გეგმა, მასშტაბი - 1:00 ÷ 1:500;
- ბიუსტის გეგმა, მასშტაბი- 1:00 ÷ 1:100;
- ტერიტორიის კეთილმოწყობის (გამწვანება, განათება, მისასვლელი ბილიკიდა ა.შ.) კონცეფცია;
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო დოკუმენტაცია CD-ზე PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

  ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტის სახით 2 (ორი) ეგზემპლარად.

14. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა: კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შეფასების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს წინადადების ფასი მხარე:
    - პროექტი: კოეფიციენტი - 0.7
    - საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი - 0.3

    შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

    კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
15. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში სრულყოფილი პროექტის (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია) და მის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა შემსყიდელისათვის.
16. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებას იტოვებს შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.
17. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის აუნაზღაუროს კონკურსანტს შესყიდვაში მონაწილეობის ხარჯები.
18. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
    საკონკურსო კომისიის წევრი:
    ტელ: 595 22 95 77
    ელ.ფოსტა:Ekaterinetodua@gmail.com

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ქ. ზუგდიდში იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის არქიტექტურულ-მხატვრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

იაკობ გოგებაშვილი იყო დიდი ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

გოგებაშვილმა ჩვენში პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების პრინციპებად-შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანამიმდევრობა, მისაწვდომლობა და თვალსაჩინოება.

ა) ესკიზური პროექტი უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ღირებულებებს.

ბ) ესკიზი უნდა წარმოადგენდეს სივრცით კომპოზიციას, მასშტაბის თვალსაზრისით არ უნდა იყოს კამერული ხასიათის, აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს განთავსების ადგილის გეგმარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით.

გ) ესკიზი გადაწყვეტილი უნდა იყოს თავისუფალი დიზაინის, სკულპტურულ-არქიტექტურული სინთეზის საშუალებით; ადგილობრივი რბილი ქვის მასალის (საკვეთი ქვა) შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატური პირობები, შესრულების მანერა - თავისუფალი, ქანდაკება უნდა იყოს მორგებული არსებული კვარცხლბეკის გაბარიტულ ზომებს, კვარცხლბეკი - მოპირკეთებული ორნამენტებით და დეკორით;

დ) ესკიზი შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი სახვითი საშუალებით (ფანქარი, გუაში, ტუში, აკვარელი, ტემპერა, შერეული ტექნიკა და სხვა);

ე) ავტორმა უნდა წარმოადგინოს ესკიზის კომპიუტერული ვერსია, ამობეჭდილი ფერად პრინტერზე; ყოველ ეგზემპლარზე უნდა იყოს აღნიშნული ავტორისათვის სასურველი მასალა, მონაწილე პირთა წრე შეუზღუდავია.

დანართი №1-ში მოცემულია არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, ადგილი სადაც განსაზღვრულია ბიუსტის დადგმა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა მოხდეს, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზ. №45-ში.

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ელექტრონული ვერსია სრული შემადგენლობით:

- პროექტის შემადგენელი ყველა ფურცელი - 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსია PDF ფაილის სახით.
- სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა: 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსიის სახით;
- მაკეტის სახით;

შენიშვნა: ქ.ზუგდიდში იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის დადგმის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 25000 (ოცდახუთიათას) ლარს. შესყიდვის საერთო ღირებულებაში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი.

საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ნორმებითა და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი ან წერილობითი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

''შემსყიდველი''
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურიას გამზ. №45
საიდენტიფიკაციო კოდი: 220416976
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: სახელმწიფო ხაზინის
ერთიანი ანგარიში
ბანკისკოდი:TRESGE22
სახაზინო კოდი: 204931440

sakvalifikacio moTxovnebi

sakvalifikacio moTxovnebis Tanaxmad, konkursantma unda warmoadginos Semdegi dokumentebi da informacia:

1. saerTaSoriso kvalifikacia:
saerTaSoriso konkursebSi monawileobis damadasturebeli dokumentacia.
iuridiuli pirebisa da individualuri mewarmeebisTvis;
a) amonaweri mewarmeTa da arasamewarmeo (arakomerciuli) iuridiul pirTa reestridan (saqarTvelos sajaro reestris erovnuli saagentodan) , romlis Sesabamisad, piris qonebaze ar unda iyos sajaro samarTlebrivi SezRudvebi, ar unda xorcieldebodes iuridiuli piris reorganizacia an likvidacia.
b) cnoba Semosavlebis samsaxuridan biujetis mimarT davalianebis ararsebobis Sesaxeb (dasaSvebia saldirebuli zedmetoba).

2. fizikuri pirebisaTvis (garda individualuri mewarmisa) :
a) piradobis mowmobis an pasportis asli;
b) cnoba, saqarTvelos sajaro reestris erovnuli saagentodan
fizikuri piris qonebaze sajarosamarTlebrivi SezRudvis (yadaRis) ararsebobis Sesaxeb;
g) cnoba uflebamosili samedicino dawesebulebidan, rom fizikuri piri qmedunariania;
d) cnoba Semosavlebis samsaxuridan biujetis mimarT davalianebis ararsebobis Sesaxeb (dasaSvebia saldirebuli zedmetoba).

3. rogorc fizikuri aseve iuridiuli pirebisTvis:
konkursantis rekvizitebi. 8. sakvalifikacio monacemebi da cnobebi Sesabamisi uwyebebidan miRebuli undaiqnas mxolod sakonkurso gancxadebis gamoqveynebidan misi miRebis vadis dasrulebis periodis gaTvaliswinebiT.

4. konkursantis mier sakvalifikacio monacemebis warmoudgenlobis an/da xarvezis mqone monacemebis warmodgenis SemTxvevaSi, sakonkurso komisia moaxdens am konkursantis diskvalifikacias.

5. ararezidentma fizikurma da iuridiulma pirebma sakvalifikacio dokumentebi unda warmoadginon saTanado wesiT damowmebuli an legalizebuli. dokumentebs Tan unda daerTos notariulad damowmebuli Targmani qarTul enaze.

6. konkursSi gamarjvebulma pirma srulyofili arqiteqturul-samSeneblo proeqtebis warmodgena unda uzrunvelyos xelSekrulebis gaformebis TariRidan araugvianes **2 თვის ვადაში.**

7. winaswari, saavanso anazRaureba ar gamoiyeneba.

8. angariSsworeba ganxorcieldeba srulyofili saproeqto dokumentaciis
warmodgenis Semdeg, miReba-Cabarebis aqtis gaformebidan 10 dReSi.
9. angariSsworebisTvis warmodgenili unda iyos Sesabamisi dokumentebi.
10. Sesasrulebeli samuSaoebis saxarjTaRricxvo Rirebuleba mTlianobaSi ar
unda aRematebodes **25000** (ოცდახუთიათას ლარს) lars.
11. warmodgenili proeqtebi unda akmayofilebdes q. zugdidis arqiteqturuli samsaxuris yvela moTxovnas.
arqiteqturuli samsaxuris mier proeqtebisadmi gamoTqmul SeniSvnebs da gamovlenil xarvezebs konkusSi gamarjvebuli aRmofxvravs sakuTari xarjebiT.
12. proeqtebi gadadis Semsyidveli organizaciis sakuTrebaSi.
13. sakonkurso winadadebis fasi _ koeficienti 0,5 konkursSi gamarjvebulis gamovlenis mTavari kriteriumi ar aris konkursantis mier warmodgenili dabali fasi.
sakonkurso komisia gamarjvebuls gamoavlens misi wevrebis xmaTa umravlesobiT.
13. sakonkurso winadadebis moqmedebis vada ganisazRvreba sakonkurso winadadebis wardgenis dRidan 10 dRis ganmavlobaSi.
sakonkurso gancxadebas Tan erTvis sakonkuso winadadebis forma, romelic unda warmoadginos konkursSi monawilem.

დანართი№1

BB
ᲒᲐᲚᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ

Galaxy

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. ზუგდიდი -- -----, 2015 წელი

ერთის მხრივ, **ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი გოგოხიას სახით და მეორეს მხრივ, -------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ---------- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ---------- კონკურის საშუალებით --- ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულებას კისრულობს გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების საგანია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის -------- ------- (CPVკოდი: --------)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება, მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ------- ლარს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მომსახურების გაწევა „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან ---- დღეში.

3.2 მომსახურების გაწევის პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისთვის“ (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებს „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1 ანგარიშწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება გაწეული მომსახურების მიღების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების სახით, „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ფორმით.

5.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 <u>„შემსყიდველი“ ვალდებულია:</u>

6.1.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის“, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

6.1.2 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 <u>„შემსყიდველი“ უფლებამოსილია:</u>

6.2.1 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;

6.2.2 „მიმწოდებელის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.2.3 დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება;

6.2.4 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3 <u>„მიმწოდებელი“ ვალდებულია:</u>

6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება;

6.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

6.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან;

6.3.4 მომსახურების გაწევასთანდაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება–ჩაბარების აქტი;

6.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

6.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.3.7 ----------

6.4 <u>„მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:</u>

6.4.1 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მხარეებს არა აქვთ უფლება მეორე მხარესთან წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცენ მესამე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. შეტყობინება

10.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1 ფორს–მაჟორული პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%–ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს „შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

12.3 თუ „მიმწოდებელი“ პირგასამტეხლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს თანხის 0,15%–ის ოდენობით.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%–ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.5 „შემსყიდველი“ უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „მიმწოდებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან.

12.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.7 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეურულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

13.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმოედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

14. ფორს-მაჟორი

14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

16.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

16.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: - ----------.

16.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

16.4 „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული ან/და გასაწევი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლი.

16.5 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

16.6 „მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს მომსახურების გაწვასთსან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

16.7 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

17. დასკვნითი დებულებანი

17.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმცია.

17.3 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.4 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

17.5 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის ----------მდე.

17.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

18. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ირაკლი გოგოხიას

_____

მცხოვრები_____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მივიღო მონაწილეობა, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2015 წლის -- გამოცხადებულ № კონკურსში, ქ. ზუგდიდში იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის არქიტექტურულ - მხატვრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე.

დანართი:

1. რეკვიზიტები:
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____
7. _____

სულ ფურცლების რაოდენობა:

განმცხადებელი:

,,--'' ,, -----'' 2015 წ.

_____

საკონტაქტო ნომერი:

პირადი ნომერი:

კონკურსანტის რეკვიზიტები:

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
4. საიდენტიფიკაციო კოდი:
5. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
6. ელექტრონული მისამართი:
7. ბანკი:
8. ბანკის კოდი:
9. ანგარიშსწორების ანგარიში:

კონკურსანტის ----------

(ხელმოწერა და ბეჭედი)